სს „საქართველოს რკინიგზის“ სატენდერო კომისიის
სხდომის ოქმი № 2

ქ. თბილისი **23 მარტი, 2023 წელი**

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე:
შესყიდვების სააგენტოს უფროსი — რატი ლორთქიფანიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:
შესყიდვების სააგენტოს უფროსის მოადგილე — ნათია მრელაშვილი

კომისიის წევრები:
კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსი — ნინო ჯორბენაძე

კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე — დავით ბაბუნაშვილი

სამშენებლო პროექტების ადმინისტრირების სამსახურის
უფროსის მოადგილე — დავით საზანდრიშვილი

ფილიალ მგზავრთა გადაყვანის დირექტორის მოადგილე
(მოძრავი შემადგენლობისა და ინფრასტრუქტურის დარგში) — პაატა მუჯირი

კომისიის მდივანი
შესყიდვების სააგენტოს სამართლებრივი
უზრუნველყოფის კოორდინატორი — თათია ჭოველიძე

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:
ეთერ ტეტუნაშვილი

დღის წესრიგი: სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ 2023 წლის 10 მარტს **სადგურ ველში, მდ. ლოჭინოზე არსებული ლითონის რკინიგზის ხიდის დემონტაჟისა და ახალი რკინა-ბეტონის ხიდის მშენებლობის სამუშაოების** შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე **(NAT230005367)** სატენდერო დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანა.

კომისიამ განიხილა: სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ 2023 წლის 10 მარტს **სადგურ ველში, მდ. ლოჭინოზე არსებული ლითონის რკინიგზის ხიდის დემონტაჟისა და ახალი რკინა-ბეტონის ხიდის მშენებლობის სამუშაოების** შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე **(NAT230005367) სატენდერო დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანის საკითხი**, **სალიანდაგო დეპარტამენტის 22.03.2023 წლის #0011746** და #0011890 წერილების საფუძველზე.

კომისიამ დაადგინა: სადგ. ველში, მდ. ლოჭინოზე არსებული რკინაბეტონის ხიდის დემონტაჟის და ახალი რკინაბეტონის ხიდის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით, ახალი ხიდის ასაშენებლად გამოყენებულია ტიპიური რკინაბეტონის კოჭები. იქედან გამომდინარე, რომ საავტომობილო ხიდების მშენებლობისას ხდება ანალოგიური რკინაბეტონის კოჭების გამოყენება, შემსყიდველისთვის სავსებით დამაკმაყოფილებელია, რომ პრეტენდენტებს გააჩნდეთ სარკინიგზო ან საავტომობილო ხიდის მშენებლობის გამოცდილება. კომისია მიიჩნევს, რომ აღნიშნული ცვლილება ასევე ხელს შეუწყობს მიმდინარე ტენდერში პრეტენდენტთა რაოდენობისა და კონკურენციის გაზრდას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შევიდეს ცვლილება სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ 2023 წლის 10 მარტს **სადგურ ველში, მდ. ლოჭინოზე არსებული ლითონის რკინიგზის ხიდის დემონტაჟისა და ახალი რკინა-ბეტონის ხიდის მშენებლობის სამუშაოების** შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე **(NAT230005367)** სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.1 და 2.8.1 პუნქტებში და აღნიშნული პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„2.2.1 პრეტენდენტს 2019 წლიდან უნდა გააჩნდეს არანაკლებ 50 მეტრი სიგრძის სარკინიგზო ან საავტომობილო ხიდის მშენებლობის გამოცდილება, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება უნდა იყოს არანაკლებ 1 500 000 ლარი (დღგ-ს გარეშე). აღნიშნულის დადასტურების მიზნით სისტემის მეშვეობით წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტ(ებ)ი: ხელშეკრულებ(ებ)ა და ამავე ხელშეკრულებ(ებ)ის სრულად შესრულების მიღება-ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი და დადასტურებული ანგარიშ-ფაქტურები, ან/და აღნიშნული დოკუმენტაციის შესახებ მითითება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის შესყიდვის ნომრებზე: NAT/CMR/SPA და ა.შ, რომლებსაც სისტემაში უნდა გააჩნდეთ "ხელშეკრულება შესრულებულია" სტატუსი.

„2.8.1 ქვეკონტრაქტორს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) 2019 წლიდან უნდა გააჩნდეს არანაკლებ 50 მეტრი სიგრძის სარკინიგზო ან საავტომობილო ხიდის მშენებლობის გამოცდილება, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება უნდა იყოს არანაკლებ 1 500 000 ლარი (დღგ-ს გარეშე). აღნიშნულის დადასტურების მიზნით სისტემის მეშვეობით წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტ(ებ)ი: ხელშეკრულებ(ებ)ა და ამავე ხელშეკრულებ(ებ)ის სრულად შესრულების მიღება-ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი და დადასტურებული ანგარიშ-ფაქტურები, ან/და აღნიშნული დოკუმენტაციის შესახებ მითითება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის შესყიდვის ნომრებზე: NAT/CMR/SPA და ა.შ, რომლებსაც სისტემაში უნდა გააჩნდეთ "ხელშეკრულება შესრულებულია" სტატუსი.“

დამსწრე სატენდერო კომისიის წევრებმა კენჭისყრის შედეგად ერთხმად დაადგინეს:

1. 2023 წლის 10 მარტს **სადგურ ველში, მდ. ლოჭინოზე არსებული ლითონის რკინიგზის ხიდის დემონტაჟისა და ახალი რკინა-ბეტონის ხიდის მშენებლობის სამუშაოების** შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე **(NAT230005367)** სატენდერო დოკუმენტაციაში შეტანილ იქნას წინამდებარე ოქმით განსაზღვრული ცვლილებები.
2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს ზემოაღნიშნული ცვლილების სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად გამოქვეყნება.

კომისიის თავმჯდომარე:
შესყიდვების სააგენტოს უფროსი
რატი ლორთქიფანიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:
შესყიდვების სააგენტოს უფროსის მოადგილე
ნათია მრელაშვილი

კომისიის წევრები:
კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსი
ნინო ჯორბენაძე

კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
დავით ბაბუნაშვილი

სამშენებლო პროექტების ადმინისტრირების სამსახურის უფროსის მოადგილე
დავით საზანდრიშვილი

ფილიალ მგზავრთა გადაყვანის დირექტორის მოადგილე
(მოძრავი შემადგენლობისა და ინფრასტრუქტურის დარგში)
პაატა მუჯირი

კომისიის მდივანი:
შესყიდვების სააგენტოს სამართლებრივი
უზრუნველყოფის კოორდინატორი
თათია ჭოველიძე

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:
ეთერ ტეტუნაშვილი